**სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი**

121 აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 591 12 31 23
emscinfo@moh.gov.ge

13 სექტემბერი 2023

EMSC 7 23 00963385

**საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ხატია დეკანოიძეს**

ქალბატონო ხატია,

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში წარმოდგენილი თქვენი 2023 წლის 18 აგვისტოს N6241/3-23/23 წერილის პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია რეანიმობილებთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ქვეყნის მასშტაბით რეანიმობილები განაწილებულია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო ტრანსპორტირების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნების შესაბამისად და მათი რაოდენობა ჯამურად შეადგენს 22 ერთეულს. საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიის დაფარვა შესაძლოა განხორციელდეს უახლოეს ლოკაციაზე განთავსებული რეანიმობილებითაც.
შემოსულ შეტყობინებაზე რეაგირება ხორციელდება, გამოძახების ადგილიდან უახლოეს ლოკაციაზე განთავსებული რეანიმობილის გაგზავნის პრინციპით, ხოლო იმ შემთხვევებში, თუ კერძო სასწრაფო დახმარების რეანიმობილი უფრო ადრე შეძლებს პაციენტისთვის სათანადო სერვისის მიწოდებას, პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე, შეტყობინების გადაცემა ხორციელდება სერვისის მომწოდებლის სადისპეტჩეროში.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი
ალექსანდრე კუტიბაშვილი